როგორ გავაუმჯობესოთ მართლმეტყველება და მართლწერა საბაზო საფეხურის მოსწავლეებში

(პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა)

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლა

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:

ელისო ბაქრაძე, ნინო ჭოლოკავა, ხათუნა სვანიშვილი

სარჩევი

შესავალი----------4

თავი 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა ----------6

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ ----------6

1.2. პრობლემის იდენტიფიცირება ----------6

1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა ----------8

1.4. კვლევის მიზანი ----------9

1.5. კვლევის სტრუქტურა ----------9

1.6. ძირითადი დასკვნები ----------10

თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი ----------11

თავი III. ლიტერატურა ----------12

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა ----------12

თავი IV. კვლევის დიზაინი ----------17

4.1. საკვლევი საკითხის კითხვები ----------17

4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი ----------17

4.3. კვლევის მეთოდები ----------18

4.4. კვლევის ვადები ----------19

თავი V. კვლევის შედეგები ----------20

5.1. მონაცემების ანალიზი ----------20

5.2. ძირითადი მიგნებები ----------30

5.3. ინტერვენციები ----------31

თავი VI. ინტერვენციების შეფასება ----------32

6.1. ინტერვენციების შეფასების მეთოდები ----------32

6.2. ინტერვენციების შეფასება ----------32

თავი VII. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები ----------36

7.1. რეკომენდაციები ----------36

7.2. კვლევის ნაკლოვანებები ----------37

თავი VIII. დასკვნა ----------37

ბიბლიოგრაფია ----------39

დანართი ----------40

რეფლექსია ----------45

შესავალი

მართლმეტყველება და მართლწერა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დაცვისა და მეტყველების კულტურის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. ხშირად არა მხოლოდ გარემო(ტელევიზია, საზოგადოების მეტყველება),არამედ არასათანადოდ ნათარგმნი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები განაპირობებს სხვადასხვა გრამატიკულ შეცდომას, რაც მეტყველებისა და მართლწერის ნორმად უყალიბდებათ და შესაბამისი გრამატიკული ცოდნის გარეშე ვერ აანალიზებენ, რა შეცდომა დაუშვეს. საბოლოოდ, მივდივართ იქამდე, რომ მეტყველება და წერა დაუხვეწავია, დამძიმებულია სტილისტური ხარვეზებითა და გამოთქმებით, მორფოლოგიურად და სინტაქსურად გაუმართავი ფორმებით. მნიშვნელოვანია ადრეული ასაკიდან მოსწავლეთა დაინტერესება აღნიშნული საკითხით, რათა მათ შეძლონ გამართულად მეტყველება და წერა.

მართალია, სახელმძღვანელოებს თან ახლავს მე-9 კლასის ჩათვლით პრაქტიკული სავარჯიშოების რვეული შესაბამისი მოკლე გრამატიკული მასალით, მაგრამ მაინც დაუძლეველ პრობლემად რჩება მართლწერა. შეიძლება, მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა გრამატიკული საკითხის თეორიული ცოდნაც გამოავლინოს და პრაქტიკული სავარჯიშოებიც მართებულად შეასრულოს, მაგრამ წერისას(თხზულების, ჩანახატის, ესეს...)თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის უზუსტობა და მსგავს შეცდომას უშვებენ ზეპირმეტყველებისას.

მართლწერის საკითხების შეთვისებისა და პრაქტიკულად გამოყენების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად და სირთულედ ითვლება გარემო, რადგან მოსწავლეები ადვილად ექცევიან მასობრივი საშუალებების ზეგავლენის ქვეშ.

ასევე უგულებელყოფილია ტრანსფერული უნარ-ჩვევის ფორმირება. თეორიული სწავლის შემდეგ მოსწავლე ასრულებს პრაქტიკულ სავარჯიშოს, მაგრამ ვერ იყენებს ცოდნას განსხვავებულ სიტუაციაში. კერძოდ, ქართულის გაკვეთილზე მეტად აქცევს ყურადღებას მეტყველებისა და წერის კულტურას, ვიდრე სხვა საგანში.

ერთგვარ ხარვეზად ითვლება არასათანადოდ ნათარგმნი ლიტერატურა და სასკოლო სახელმძღვანელოები, სადაც ვხვდებით არაერთ გრამატიკულ უზუსტობას, რაც, ზოგჯერ, ნორმად ექცევათ. ორთოგრაფიის საკითხის შესასწავლად ნაკლებად გამოიყენება თვალსაჩინოება.

მოსწავლეებს არ უყვართ გრამატიკის თეორიული ნაწილის დასწავლა, რისი ცოდნის გარეშეც ვერ შეძლებენ დახვეწილად, გამართული გრამატიკული ენით მეტყველებასა და წერას.

ესგ-ს მიხედვით სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული, სასწავლო პროცესის ცენტრში მოსწავლე მოექცა თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით, მაგრამ ეს პრობლემა მაინც არის გადაუჭრელი. საკითხის. აქტუალობიდან გამომდინარე საინტერესოდ მიგვაჩნია ამ საკითხის კვლევა წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების: ელისო ბაქრაძის, ხათუნა სვანიშვილისა და ნინო ჭოლოკავას კვლევის ანგარიშს. ამ კვლევის მიზანია იმ საჭიროებათა დადგენა, რომელიც საბაზო საფეხურის მოსწავლეებს გაუუმჯობესებს მართლმეტყველებას და მართლწერას.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები. II თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და სკოლაში მის დანერგვას. III თავში განხილულია ლიტერატურა ,მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრება აღნიშნული საკითხის მიმართ. IV თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და პროექტის ვადების შესახებ. V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს. VI თავში განხილულია ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები. VII თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის შედეგები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები.

თავი 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ქალაქ ქუთაისის მე-14 საჯარო სკოლაში სწავლობს 670 მოსწავლე. სკოლის დირექტორი არის ქალბატონი ნონა ჩუბინიძე, რომელიც აქტიურად ზრუნავს, რათა სკოლაში იყოს ჯანსაღი სასწავლო გარემო, მასწავლებლები კი მუდმივად იმაღლებენ კვალიფიკაციას და ზრუნავდნენ კარიერული წინსვლისთვის.

სკოლაში მუშაობს 54მასწავლებელი.მათი მცირე ნაწილი არის სრულ განაკვეთზე. სკოლას ჰყავს 21 პრაქტიკოსი, 30 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებელი. სკოლის თითოეული პედაგოგი გადის გადამზადებას და იმდიდრებს ცოდნას ტრენინგების მეშვეობით. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას იძლევა ხარისხიანად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

1.2. პრობლემის იდენტიფიცირება

2017-18 სასწავლო წელს ვმუშაობთ5განსხავებულ ასაკობრივ კლასში (მე-4 , მე-5 , მე- 8 , მე-9 და მე-12) თანაბრად ვზრუნავთ მოსწავლეებში მათი ასაკისათვის საჭირო მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხების შესწავლაზე, სწავლების პროცესში გამოვლინდა ის ხარვეზები და სიძნელეები, რომლებიც ხელისშემშლელი ფაქტორებია მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა ათვისებასა და სათანადო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებისათვის. მოკლედ შევეცდებით მათ ჩამოთვლას: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა, კერძოდ: მოსწავლეები ისმენენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო და ლიტერატურულ ტექსტებს, გადმოცემენ შინაარსს, საუბრობენ პერსონაჟის ხასიათის თვისებებზე, მონაწილეობენ დისკუსიებში. ამ აქტივობების შესრულების დროს მოსდით შეცდომები, რომელთაც წესით არ უნდა უშვებდნენ, რადგან მათ უკვე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით წესები იციან და შესრულებული აქვთ პრაქტიკული სავარჯიშოები, ამიტომ პრობლემად მაინც რჩება სწორად წერა და მეტყველება.

მე-9 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი; მათ უნდა შეეძლოთ საუბრისას ძირითადი ენობრივი მახასიათებლების აღქმა და

მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციაში; ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება; ნაწარმოების ესთეტიკური მხარის შეფასება; სადისკუსიო სტრატეგიების ამოცნობა და გამოყენება; წერითი დავალებების განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა; შესაბამისად, უნდა შეძლონ გრამატიკული წესების მართებულად გამოყენება და მართლწერის ნორმების დაცვა, მაგრამ სწორედ საკითხია პრობლემური.

საკლასო და საშინაო დავალებების შემოწმების, მოსწავლეთა მეტყველების შემდეგ დავასკვენი, რომ მათი გაუმართავი მეტყველება იმით არის გამოწვეული, რომ ნაკლებად კითხულობენ, რასაც ემატება გარემო, რომელიც უხვადაა გაჯერებული არასათანადო, კალკირებული ფორმებით, რაც არა მარტო მოსწავლეთა, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემაა.

მე-9კლასში მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ მორფოლოგიის, სინტაქსის, პუნქტუაციის, სტილისტიკის ძირითადი საკითხები. თითოეული საკითხის შესწავლისას ჩვენ ვიმუშავეთ მართლწერის საკითხებზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ შედეგები საკმაოდ კარგი იქნებოდა, მაგრამ ასეთი სურათი მივიღე. 29 მოსწავლიდან პირველ ჯერზე ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შეასრულა დავალება უშეცდომოდ. გამოიკვეთა ხარვეზები, რომელიც უკავშირდება სტილისტიკასა და მორფოლოგიურ შეცდომებს. ზმნისწინთა, ზმნიზედების, კუთვნილებითი ნაცვალსახელების ,თანდებულიან სახელთა მართლწერას ,სტილისტური შეცდომების გამოსასწორებლად საჭიროა მეტი ყურადღების გამახვილება და სიტუაციის გასაუმჯობესებლად სტრატეგიების შემუშავება .

მე-9კლასში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მათ უნდა შეძლონ მსჯელობისას საუბრისას ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება. ასევე ავტორისმიერმიზნობრივადგამოყენებული სპეციფიკური ლექსიკის (არქაიზმების, დიალექტური ფორმების, ჟარგონის, ნეოლოგიზმების, ბარბარიზმების და სხვ.).განსხვავება სალიტერატურო ენისაგან და მართებულად ჩაანაცვლება მათი სალიტერატურო ფორმებით. რამდენიმე საკლასო თუ საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ დავასკვენი, რომ მოსწავლეთა გაუმართავი მეტყველება იმ მიზეზითაა გამოწვეული, რომ თეორიულ ცოდნას არ იყენებენ პრაქტიკულად, რასაც ემატება გარემო,

სადაც ესმით ბარბარიზმებითა და კალკირებული ფორმებით გაჯერებული მეტყველება, რის გამოც უჭირთ მართებული ფორმების გამორჩევა.

ზეპირი და წერითი გამოკითხვა ნათელყოფს, რომ მოსწავლეებს მართლმეტყველებისა და მართლწერისას უჭირთ მართებული ფორმების მეტყველებასა და წერაში გამოყენება, აღნიშნულის გააზრება უჭირთ, მოსწავლეები ზერელედ უსმენენ მონათხრობს და არ ცდილობენ ერთმანეთს აღმოუჩინონ ენობრივი შეცდომები, არა დაცინვის, არამედ ყურადღების გამახვილებისა და შემდეგ მართებული ფორმებით ჩანაცვლების მიზნით.

1.3 საკვლევი საკითხის აქტუალობა

ქართული ენის გრამატიკის სწავლებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს. იგი მიზნად ისახავს ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტიკისა და პუნქტუაციის საკითხების შესწავლას, რაც ემსახურება ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დახვეწას. მართლწერის საგანია სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-ენის სადავო საკითხების მოგვარება. ორთოგრაფიის წესების შესწავლას თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს .მისი მეშვეობით მოსწავლე აზუსტებს, აცნობიერებს მშობლიური ენის ბუნებას, აგებულებას, რითაც ღრმავდება თეორიული ცოდნა, რომელსაც შემდგომ იყენებს პრაქტიკულად. მეტყველება და წერა ვერ იქნება წიგნიერი თუ მასში ორთოგრაფიული შეცდომებია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში აღნიშნული საკითხების შესწავლას.

ბავშვები განსხვავებული გარემოდან მოდიან, შესაბამისად თავისებურად განსხვავდება მათი ლექსიკური მარაგი და მეტყველებაც. თუ ოჯახში გამართული სალიტერატურო ენით საუბრობენ, შესაბამისად ბავშვიც გამართულად საუბრობს, ყოველგვარი თეორიული ცოდნის გარეშეც. სწორედ ამიტომ საჭიროა ჯერ უფროსებმა დავიცვათ ენობრივი ნორმები და შემდეგ ვასწავლოთ და მოვთხოვოთ ბავშვებს. თუ მოსწავლე დიალექტური ფორმებითა და რომელიმე კუთხისათვის დამახასიათებელი ინტონაციით საუბრობს, ის დაცინვის საგანი ხდება და დაკომპლექსებულს ეკარგება ხალისი ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა

გრამატიკულად მართებული ფორმის გაგება საკმაოდ აოცებთ და ამ ფრაზების გამოყენება ეუხერხულებათ , რადგან ეს სიტყვები უმეტესად ისე ესმით, როგორც აქამდე იცოდნენ, მაგალითად: ,,რამოდენიმე, თითოეული ჩვენთაგანი, ვიღაცეები და. ა. შ.

ზოგს ჰგონია , რომ ენის ცოდნა მხოლოდ გრამატიკული ნორმების მართებული გამოყენებაა ცხადია, წესების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. არსებული სიტუაცია გრძელდება წლების განმავლობაში და მისი საბოლოო მოგვარების ან გაუმჯობესების ტენდენცია ჯერაც არ შეიმჩნევა. პრობლემა პრობლემად რჩება. მოსწავლეთა უმეტესობისათვის მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საკითხად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ დავისახეთ მიზნად ამ საკითხის კვლევა და ზრუნვა მართლმეტყველებისა და მართლწერის ფორმების გაუმჯობესებისათვის. ბავშვებმა სკოლაში გრამატიკა ზმნის გასარჩევად ან მაღალი შეფასების მისაღებად კი არ უნდა ისწავლონ, არამედ ყოველდღიური მეტყველების დასახვეწად, სხვაგვარად სამეტყველო და ლიტერატურული ენა უფრო მეტად დაშორდება ერთმანეთს, რაც სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს.

1.4.კვლევის მიზანი

მართლწერისა და მართლმეტყველებისას დაშვებული შეცდომების მიზეზების დადგენა, ანალიზი და მისი გამოსწორების გზების ძიება.

1.5. კვლევის სტრუქტურა

მოსწავლეთა მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობესებისათვის საჭიროა, გავიაზროთ:

1.რა მოცულობის საჭირო მასალას , რა თანმიმდევრობით ვამუშავებთ გაკვეთილზე?

2.რამდენად შეესაბამება მიწოდებული მასალა მოსწავლეთა ინტერესს?

3. როგორ ვუხსნით ახალ მასალას?

4. რა სამუშაოები ტარდება მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხების გამოყენებით და რის მიღწევას ახერხებენ მოსწავლეები?

5. როგორია უკუკავშირი გაკვეთილზე?

6. რამდენად რელევანტურია შესასრულებელი სამუშაოები?

7.როგორი სამუშაოები იგეგმება, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობესება?

8.იყენებენ თუ არა შესწავლილ საკითხებს საუბარში, თანატოლებთან, სხვა გაკვეთილებსა და ოჯახში საუბრისას?

9.როგორმოწმდებამათმიერ შესწავლილიო მასალა?

10.რასირთულეებიდაპრობლემებიიჩენსთავს?

11.რამდენად და რაში დაეხმარება მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობესება

მოსწავლეებს?

1.6. ძირითადი დასკვნები

თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე შევეცადეთ განგვეხილა მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლების თეორიული და პრაქტიკულ ისაკითხები. დავამუშავეთ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა სწავლების ენათმეცნიერული, საფუძვლები. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით შევიმუშავეთ ამ საკითხის სწავლების ეფექტური გზები, მეთოდები და ხერხები. მუშაობამ ცხადყო, რომ მართლწერის საკითხებზე ვარჯიშს მეტი დრო უნდა დავუთმოთ, ვიდრე ამჟამად ეთმობა. ამით უკეთეს შედეგს მივიღებთ. საჭიროა გავზარდოთ მართლწერის სავარჯიშოთა ხვედრითი წილი.

ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოებში მასალა ისეა განაწილებული, რომ ორთოგრაფიაზე მუშაობა მოსწავლეთამ მეტყველების/აზროვნების განვითარებასა და

მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზმა გამოავლინა ის შეცდომები, რომლებსაც ისინი ამ კუთხით უშვებენ. ძირითადად ეს არი სცალკეულ მეტყველების ნაწილებთან (სახელებთან: -ვით. ბრ-ისდაბოლოება, ორი მ-სა და ორი ს-ს მართლწერა, რთულფუძიანი არსებითი სახელების მართლწერა, ზმნებთან პირისა და თემის ნიშნების მართლწერა, რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა, თანდებულებთან ორით-ს, ორი შ-ს, ორი ზ-ს მართლწერა, ვით. ზმნიზედების დაბოლოება...) დაკავშირებული მართლწერის საკითხები. ეს შეცდომები ძირითადად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) მოსწავლეს უკვე შესწავლილი აქვს ორთოგრაფიის სათანადო წესი და ვერ იყენებს ამ წესს წერის პროცესში.

ბ) მოსწავლეს ჯერ არა აქვს სათანადო წესი შესწავლილი და ამიტომ უშვებს ამ შეცდომას. ისიც უნდა ითქვას, რომ ორთოგრაფიულ შეცდომათა რიცხვი (განსხვავებითპ უნქტუაციური შეცდომებისაგან) კლასების მიხედვით კლებულობს.

მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლებაში დიდია თვალსაჩინო მასალის გამოყენების ეფექტი. ამ მეთოდების მართებულად თავ-თავის ადგილზე გამოყენება უზრუნველყოფს როგორც კლასის ჩართვისა და მოტივაციის ხარისხის ზრდას, ასევე – შესწავლილი ორთოგრაფიული წესების გაცნობიერებასა და ცოდნის ჩვევაში გადასვლას.

თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, რომელსაც ატარებს მასწავლებელი საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა, მკვლევარი მასწავლებელია.

ამჯერად მიმდინარე კვლევა დაგეგმილია საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად და, რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას. თანამშომლობითი მიდგომა ცვლილებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შემცირების ინსტრუმენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინერგება გარკვეული ცვლილებები თანამშრომლობითი პროგრამის საშუალებით პრაქტიკულ კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთიანდებიან, პრობლემას თვალს უსწორებენ, ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებას, გააზრებულ პასუხისმგებლობას და აღწევენ სასურველ შედეგს. ცვლილება ეფექტურად ხორციელდება, როცა პროცესში ჩაერთვებიან ის ადამიანები, რომლებსაც უშუალოდ ეხება პრობლემა, ამიტომ საჭიროა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართვა.

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე შევიკრიბეთ კოლეგები გამოვყავით საკვლევი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა მართლმეტყველებასა და მართლწერასთან დაკავშირებულ პრობლემებს საბაზო საფეხურის მოსწავლეებში

კვლევა განვახორციელეთ საბაზო საფეხურზე **მე-5,მე-8, მე-9** კლასებში, რადგან აუცილებლობად მივიჩნიეთ, მართლმეტყველებასა და მართლწერასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ზრუნვას რაც უფრო ადრეულ ასაკში დავიწყებთ, მით უკეთესია. ამ პროცესში კი აუცილებელია კოლეგებისა და მშობლების თანადგომა .

თავი III. ლიტერატურა

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა

ენა სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის გამოხატულებაა .ის ,,დედაბოძია ეროვნებისა. ,,იცავდე შენი ენის სიწმინდეს, ნიშნავს იცავდე ვინაობას,, შენს ღირსებას, შენი ერის კულტურასა და ისტორიას.მე-19 საუკუნეში გრ. ორბელიანი წერდა :,,რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ უდავოა, რომ დამახინჯებული მეტყველება დეფორმირებული ცნობიერების გამოხატულებაზე მიანიშნებს. ილია ამბობდა: ,,მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“ ,ხოლო კონსტანტინე გამსახურდია წერდა:,, მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოისა“.სახელოვან

მოღვაწეთა სიტყვები მიანიშნებს რა მნიშვნელობის მატარებელია ენა ,რომელებიც თავიანთი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობით ემსახურებოდნენ ქართული ენის გაღონიერებასა და გამშვენიერებას.

თუ როგორ ვწერთ და ვლაპარაკობთ სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, ეს საკითხი რომ განვიხილოთ, უნდა შევეხოთ ტელევიზიის, პრესის, წიგნის ენას; ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის ყველაზე უფრო მძლავრი საშუალებაა .დღეს ძლიერ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების, ხალხის მეტყველებაზე. წინათ ხალხის მეტყველება იყო ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო სალიტერატურო ქართულისა, ამ გზით ივსებდა სამწერლო ენა ლექსიკურ მარაგს, ამ გზით მდიდრდებოდა ხატოვანი სიტყვა-თქმებითაც. ახლა, პირიქით, ბევრწილად ტელევიზია აყალიბებს, ქმნის ხალხის მეტყველებას, რომელსაც სულ უფრო ემჩნევა გაღარიბებისა და გაუსახურების ტენდენცია, რაც აისახება კიდეც მოსწავლეთა მეტყველებაში. ენობრივ შეცდომებს ხშირად ვაწყდებით როგორც მეტყველებაში, ასევე წერის დროს. სწორედ ტელევიზიის ენამ (ყველაფერზეა წამსვლელი, შესრულებადია...),რაც ერთგვარად არასწორად ნათარგმნი ფილმების დამსახურებაცაა ენის მდგომარეობაზე გავლენა იქონია, რაშიც ვეთანხმები აღნიშნული სტატიის ავტორსა და ქართული ენის ქომაგს თ. ჩხეიძეს.

ენის საკითებზე საუკუნეების განმავლობაში მუშაობდნენ, იქმნებოდა და იხვეწებოდა სახელმძღვანელოები .რამდენიმე მათგანს მოკლედ მიმოვიხილავ ,რა გზა გაიარა ენამ, ვიდრე დღევანდელ ნორმებამდე მივიდოდით.

ცნობილია, რომ ძველი ,,გრამატიკები“ მხოლოდ წმინდა მეცნიერული მიზნით არ იქმნებოდა .მათი დანიშნულება იყო ენის თეორიულ ასპექტში კვლევასთან ერთად მოსწავლეთათვის გაეცნოთ მშობლიური ენის ბუნება-აგებულება. ეს წიგნები ქართულ სკოლებში სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა. ისინი ნიადაგს ამზადებდნენ, რომ შექმნილიყო მეცნიერულად გამართული და სრულყოფილი ქართული ენის სახელმძღვანელოები.

უძველეს ქართულ გრამატიკად, რომელსაც სასწავლო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა, შეიძლება ჩავთვალოთ ,,სიტყვაი ართრონთათვის'', დაწერილი მე-11 საუკუნეში, ავტორი ეფრემ მცირე ან, სავარაუდოდ, მისი მოსწავლე არსენ იყალთოელი

იყო (შანიძე 1990: 14). ტრადიციულად კი უძველეს ქართულ „გრამატიკად“ მიჩნეულია მ. მაჯოს (რომი, 1641 წ.) „ქართული ანუ იბერიული ენის გრამატიკა". იგი შედგება 4 ნაწილისაგან. 1. ორთოგრაფია, 2. ეტიმოლოგია, 3.სინტაქსი, 4. პროსოდია. მ. მაჯოს ორთოგრაფია არის სწორად კითხვისა და წერის წესები და ამას გრამატიკის I ნაწილში გვაწვდის. ჯერ აცნობს მკითხველს ქართულ ანბანს ასეთი თანმიმდევრობით: მხედრული, მთავრული და ბოლოს – ნუსხური. საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი მართლწერის საკითხები ზურაბ შანშოვანს თავის „მოკლე გრამატიკაში“. ეს არის გრამატიკა, რომელიც ქართულად არის დაწერილი 1737 წელს. სადაც საუბარია სიტყვათა მართლწერაზე და სახელთა ბრუნვის საკითხი თავისებურადაა გადაწყვეტილი. ამას მოსდევს ანტონ I კათალიკოსის ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო, დ. ყიფიანის, პ. კვიცარიძის ,,ქართული სწორმეტყველება''. მართლწერის საკითხები მორფოლოგიის კურსთან დაკავშირებით აქვს წარმოდგენილი არ. ქუთათელაძეს თავის „ქართულ გრამატიკაში“. იგი ძირითადად სასწავლო დანიშნულებით იყო შედგენილი, ამიტომაც მართლწერა აქ წინა პლანზეა წამოწეული, მას ამ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. ნაჩვენებია ა-ზე გათავებული სახელების მართლწერის საკითხები. აქვე მოცემულია სავარჯიშოებიც, რომლებიც მოსწავლეებს მართლწერის დაუფლებაში ეხმარება. წარმოგვიდგენს ე-ზე დაბოლოებული სახელების მართლწერას. მოცემულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. მ. კელენჯერიძის ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის I გამოცემა გამოვიდა 1920 წელს, II კი – 1925 წელს ქუთაისში. იგი გათვალისწინებული იყო ყველა ასაკის მოსწავლეთათვის, კერძოდ, მათთვის, ვინც სხვას ასწავლის, ან თვითონ უშუალოდ სწავლობს ქართულ სწორმეტყველებას/ მართლმეტყველებას. 1927 წელს გამოდის ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვება“. წიგნი არ შეიცავს გრამატიკის სისტემურ კურსს, აგებულია კონცენტრულობის პრინციპის მიხედვით. ყოველი მასალა ინდუქციის გზით არის წარმოდგენილი, კერძოდან თანდათან გადადის ზოგადზე. გრამატიკული მასალის შესწავლა იწყება ტექსტზე დაკვირვებით. მოცემულია დასაკვირვებელი მასალა ან „სამუშაო“. კითხვებზე პასუხის გაცემით მოსწავლე ეცნობა ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიას და ბოლოს დასკვნა და სავარჯიშოებია წარმოდგენილი.

იგი პირველი სახელმძღვანელოა, რომელიც შედგენილია მეთოდიკური პრინციპებით, მაგრამ აქაც ზოგიერთი ნაკლი იჩენს თავს.1935 წელს გამოვიდა ნ. ძიძიგურის წიგნი „ქართული ენა“ I და II კლასებისათვის. მასში წარმოდგენილია გრამატიკული სავარჯიშოები თამაშისა და გართობის სახით. ამ სახელმძღვანელოში მეტყველების ნაწილების გაცნობა და დაჯგუფება შინაარსის მიხედვით (აქედან გამომდინარე ორთოგრაფიაც) არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ავტორი ცდილობს, მოსწავლეებს პრაქტიკულად ასწავლოს ამა თუ იმ სიტყვის მართლწერა. დღესაც სწავლებისას კეთებით დამახსოვრებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა დროს სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა სხვადასხვა ავტორთა მიერ შედგენილი „გრამატიკები“, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან როგორც წმინდა ლინგვისტიკური, ისე მეთოდიკური თვალსაზრისით. „გრამატიკა ბევრი გვაქვს, მაგრამ ვერც ერთი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. გრამატიკა მაშინ მოიტანს სარგებლობას, როდესაც ის დაბეჯითებით გვაჩვენებს ფორმებსა და კანონებს, როდესაც მისი კანონი მტკიცეა და შეურყეველი. ჩვენი გრამატიკოსები სწორედ ისე იქცევიან, როგორც ჩვენი მწერლები: ყოველ მათგანს თავისი სულიერი კანონი აქვს, ყოველი მათგანი საკუთრად გამოგონილ ტერმინებს ხმარობს. არ არის მათ შორის თანხმობა და ერთიანობა"(ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია1887)

ქართული მართლწერის შესწავლა მეცნიერულად სწორ ნიადაგზე აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკას“ (1939 წ) უკავშირდება. ამ წიგნის გამოსვლით შეიქმნა 31 მეცნიერულად მწყობრი სისტემა სკოლაში ქართული ენის სწავლებისა, რამაც თავისი ასახვა, ბუნებრივია, პოვა ქართულ მეთოდიკურ ლიტერატურაშიც. 1939 წელი, აი, სწორედ აქედან იწყება ახალი პერიოდი ქართული ენის სწავლების საქმეში. ქართული ენის მეცნიერული შესწავლისათვის აქტიურად და დაუღალავად მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები: ა. შანიძე, გ, ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია „მათ დაამუშავეს მთელი რიგი პრობლემები და შეადგინეს რამდენიმე სახელმძღვანელო სკოლისათვის“(გუგუშვილი 1977: 26). 1938 წლის დადგენილებით ა. შანიძეს დაევალა შეედგინა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო.

2001 წელს გამოდის ა. არაბულის „ქართული ენის სამყარო“, რომელიც განკუთვნილია V – IX კლასის მოსწავლეთათვის. ეს სახელმძღვანელო ძირითადად იმ მოსწავლეთათვის გახლავთ განკუთვნილი, რომლებიც წინა კლასებში ქართულ ენას ვ. როდონაიას, ნ. ნაკუდაშვილის, ა. არაბულის, მ. ხუციშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ. მას თან ახლავს მოსწავლის რვეული, სადაც წარმოდგენილია ტესტები და სავარჯიშოები. სახელმძღვანელო რამდენიმე თავისაგან შედგება. აქ მართლწერის საკითხები ცალ-ცალკე პარაგრაფის ბოლოშია წარმოდგენილი. მართლწერის საკითხების შესწავლა სათანადო გრამატიკულ მასალასთან კავშირში უადვილებს მოსწავლეებს კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. V კლასში ხდება ძირითადად დაწყებით კლასებში ნასწავლი მასალის გამეორება და გაღრმავება. სახელმძღვანელოს III თავში წარმოდგენილია რთულ სიტყვათა მართლწერა და მოყვანილია ისეთი რთული სიტყვები, რომლებიც იწერება როგორც დეფისით, ასევე უდეფისოდ. ამ პარაგრაფის ბოლოს წარმოდგენილია გასათვალისწინებელი წესები მართლწერისა. მართლწერის საკითხები წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნებთან (ორი მ-სა და ორი ს-ს შემთხვევები).

ესგ-ს მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი ამოცანაა ორთოგრაფიული ნორმების სათანადო გამოყენება და დანერგვა, ასევე მოსწავლეს შეუქმნას პირობები საკუთარი შესაძლებლობებისა და სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსავლენად. ამ დოკუმენტში მოცემულია სწავლა-სწავლების ორგანიზაციული საკითხები და ყველაზე მნიშვნელოვანი - საგნობრივი სტანდარტი. საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგებზე ორიენტირება. აქ სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების სახით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს მოსწავლეებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა

მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ. ამრიგად, სასკოლო განათლების რეფორმის ძირითადმა სიახლემ-ესგ-მ და საგნობრივმა სტანდარტებმა არსებითად შეცვალა არა მარტო სწავლების შინაარსი, არამედ მეთოდოლოგიაც. ერთ-ერთი ძირითადი სიახლეა ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრაცია. აგრეთვე ისიც, რომ სწავლა შედეგზეა ორიენტირებული, სწავლა ნიშნავს მიღებული ცოდნის გამოყენებასა და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას. მთავარია არა ცოდნის ოდენობა, არამედ - ხარისხი. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროება.

თავი IV. კვლევის დიზაინი

4.1. საკვლევი საკითხის კითხვები

მთავარი შეკითხვა

რით არის გამოწვეული მოსწავლეებში მართლწერასა და მართლმეტყველებაში არსებული შეცდომები?

- რა ტიპის შეცდომებს ვხვდები ყველაზე ხშირად?
- რა სტრატეგიებს ვიყენებ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად?
- რამდენად ვიყენებთ კოლეგების გამოცდილებას?
- რა სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ რომ გავზარდოთ დამახსოვრების ეფექტი?
- რა განაპირობებს დამახსოვრების ეფექტის დაბალ დონეს?
- რომელი სტრატეგია იქნება უფრო ეფექტური პრობლემის დასაძლევად?

4.2.კვლევის სამიზნე ჯგუფი

1.კოლეგები, იმიტომ რომ გამოცდილება აქვთ.

2.მე-9კლასში შემომსვლელი სხვა საგნის მასწავლებლები

3. IX კლასის მოსწავლეები (29)

4. მშობლები (25)

5. ექსპერტი, იმისთვის,რომ ვიცოდეთ თუ რა თანამედროვე ხედვები და სტრატეგიები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით.

4.3.კვლევის მეთოდები

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

● გამოკითხვა – აღნიშნულ მეთოდს მივმართე, . რათა დამედგინა რა ტიპის შეცდომებს ვხვდები ყველაზე ხშირად? რამდენად საინტერესოა მათთვის გამართული წერა და მეტყველება? რა სირთულეებს აწყდებიან ახალი საკითხის შესწავლის პროცესში? როდის და როგორ გამოდგომიათ შესწავლილი საკითხები?

●რედაქტირება-შეცდომების გასაანალიზებლად

● ანკეტირება – მივმართე ანკეტირებას. კითხვარები მომზადდა მშობლებისათვის კითხვები იყო დახურული, ანონიმური, რადგან ამ დროს რესპოდენტი არ იზღუდება პასუხის გაცემის დროს გულწრფელია და შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები ზუსტი და სანდოა. მონაწილეობდა 25მშობელი და 29 მოსწავლე.

- ინტერვიუ – აღნიშნულ მეთოდს მივმართეთ კოლეგებთან მუშაობისას, რათა გაგვერკვია, როგორ მუშაობენ ისინი მოსწავლეთა მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობებესისათვის ,რა სტრატეგიებს იყენებ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად?ასევე ინტერვიუ ექსპერტთან(კითხვები მოცემულია დანართში)

- ფოკუსჯგუფი –ფოკუსჯგუფი შედგებოდა სკოლის 6 ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისაგან, ასევე დაწყებითი კლასისა და ამ კლასში შემსვლელი სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისაგან.

- დაკვირვება - მოსწავლეებს ვაკვირდებოდი რა ტიპის დავალებებს აკეთებდნენ ხალისით, როდის იწევდა მათი შინაგანი მოტივაცია და რომელი დავალების შესრულების დროს შეეძლოთ უკეთესი შედეგის მიღწევა.

1.კოლეგებთან-ფოკუსჯგუფი

2.სხვა საგნის მასწავლებლებთან-ფოკუს-ჯგუფი

3.მოსწავლეებთან-ჩართული დაკვირვება,გამოკითხვა

4.მშობლებთან-ანკეტირება.

5.ექსპერთან ინტერვიუ

4.4. კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის იდენტიფიცირება	V					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	V					
არსებული მონაცემების შეგროვება	V					
არსებული მონაცემების ანალიზი	V					
დაკვირვება მოსწავლეებზე	V	V	V	V	V	V
კითხვარის შედგენა, დამუშავება		V				
შეხვედრები კოლეგებთან		V	V	V	V	V
ფოკუსჯგუფი		V				
შედეგების ანალიზი		V				
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა		V				
ინტერვენციის განხორციელება			V	V	V	V
ინტერვენციის შედეგების ანალიზი						V
პრეზენტაცია საკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა						V

თავი V. კვლევის შედეგები

5.1.მონაცემთა ანალიზი აღნიშნული საკითხის საკვლევად მიზნობრივ ჯგუფად ავირჩიე მე-9კლასი.მათგავლილი აქვთ თითქმის ყველა გრამატიკული საკითხი თეორიულად. ცალკეული თემის მიხედვით სავარჯიშოების შესრულება უადვილდებათ, მაგრამ ტექსტში მათი პოვნა უჭირთ. ხშირია პუნქტუაციას, მორფოლოგიასა თუ სტილისტიკასთან დაკავშირებული შეცდომები. წლების გამოცდილებამ მიჩვენა, რომ გრამატიკული საკითხების პრაქტიკულად მართებულად გამოყენებას ვერ ახერხებს მოსწავლეთა უმრავლესობა, რასაც თავისი განმაპირობებელი გარე ფაქტორებიც ახლავს თან. ერთ-ერთია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიასთან დაკავშირებული მეტყველება. კიბერენისათვის დამახასიათებელი გამოთქმები მკვიდრდება საზოგადოების მეტყველებაში, რაც გავლენის ქვეშ აქცევს მოსწავლეთა საუბარს. ამას ემატება ისეთი მასობრივი საშუალება, როგორიცაა: ტელევიზია, პრესა და უჭირს მოზარდს გაანალიზება რომელია სწორი ფორმა. მხოლოდ გაკვეთილზე ნასწავლი პრაქტიკული განმამტკიცებლების გარეშე ვერ იძლევა შედეგს. სწორედ ამ პრობლემამ მიმიყვანა აღნიშნული საკითხის კვლევამდე, რათა მივიდე გარკვეულ დასკვნამდე, როგორ გავაუმჯობესო მართლწერა და მეტყველება, რომელი თანამედროვე სტრატეგიები დამეხმარება ამ სირთულის დაძლევაში. დიაგნოსტიკური ანალიზისათვის ჩავატარე რამდენიმე წერა, რედაქტირებისათვის მიეცათ დავალება სხვადასხვა ტიპის შეცდომებით.

პირველი ტესტირების დიაგნოსტიკური ანალიზის შედეგებია ასეთია:8-მა იპოვა 5 შეცდომა და გაასწორა-2 მართებული ფორმა,9-მ-7 იპოვა, 6-მა-8,6-მა-9 შეცდომა. უხარვეზოდ ნაშრომი არ გასწორებულა.

№1 დიაგრამა



პრობლემის უკეთ დანახვისა და მისი აღმოფხვრის გზების დასახვის მიზნით

მეორე დიაგნოსტიკური ანალიზისათვის მე-9 კლასში მივეცი ტექსტი რედაქტირებისათვის, რომელშიც იყო დაშვებული 11 შეცდომა (მორფოლოგიური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური ,სინტაქსური,3სტილისტური), რომელთა შესახებ უკვე თეორიული მასალაც გავლილი ჰქონდათ და პრაქტიკული სავარჯიშოებიც შესრულებული .

დიაგნოსტიკური დავალების შესრულების ანალიზმა მიჩვენა, რომ 29მოსწავლიდან 12 შეძლო 7 შეცდომის პოვნა, მაგრამ სწორად დაწერილი 4 შეცდომით გაასწორა, 10-მაშეძლო 8 შეცდომის პოვნა, 4-მა იპოვა 9 შეცდომა , დანარჩენმა 3-მმა იპოვა 10შეცდომა, უშეცდომოდ ტექსტის რედაქტირება ვერცერთმა ვერ შეძლო.

N 2დიაგრამა



მესამე რედაქტირებისათვის გავზარდე შეცდომათა რაოდენობა. სულ დაშვებული იყო 15 შეცდომა. იყო მორფოლოგიური, სინტაქსური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური სახის შეცდომები. ტესტირებამ ასეთი შედეგები მიჩვენა:10-მა იპოვა-8 შეცდომა,8-მ-10,6-მა-12,5-მა-14შეცდომა.ყველა შეცდომის პოვნა ვერც ამ ტესტირების შედეგად მოხერხდა, რამაც გამოავლინა ის ხარვეზები, რა კუთხითაა მუშაობა გასაუმჯობესებელი პრობლემის დასაძლევად.

№3დიაგრამა



მოსწავლეების გრამატიკულ დავალებებს ხალისით ასრულებენ, აქტიურობენ, თეორიული მასალის გადმოცემა არ უჭირთ, მაგრამ დამოუკიდებლად უშეცდომოდ დავალების შესრულება მაინც ვერ შეძლეს. ვფიქრობ არ არის საკმარისი მხოლოდ ქართულის გაკვეთილზე იფიქროს მოსწავლემ გამართულად წერასა და მეტყველებაზე, ეს პროცესი ყველგან სხვა გაკვეთილზე, სახლშიცა და საზოგადოებაშიც უნდა გრძელდებოდეს. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ჩავატარე გამოკითხვა, რათა დამედგინა სამომავლოდ როგორ უნდა დავგეგმო მუშაობა ორთოგრაფიული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. წარმოგიდგენთ კითხვარს დიაგრამებით:


რა ტიპის შეცდომებს ხვდებით ხშირად?
სინტ. 4%
პუნქტ. 7%
მორფ. 25%
სტილ. 64%
სტილ.
მორფ.
პუნქტ.
სინტ.


როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას პრაქტიკულად?
0%
სხვა საგნის გაკვეთილებზე 50%
საზოგადოებასთან ურთიერთობაში 50%
საზოგადოებასთან ურთიერთობაში
სხვა საგნის გაკვეთილებზე


რა სირთულეებს აწყდებით ახალი საკითხის შესწავლისას?
4th Qtr
0%
შინაარსობრივი მხარე გაუგებარია
24%
უჭირთ თეორიის პრაქტიკულად გამოყენება
76%
შინაარსობრივი მხარე გაუგებარია
უჭირთ თეორიის პრაქტიკულად გამოყენება
4th Qtr


რამდენად საჭიროა გამართული წერა და მეტყველება?
4th Qtr
0%
არ არის საჭირო
38%
საჭიროა
62%
საჭიროა
არ არის საჭირო
4th Qtr

ასევე მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ მშობელთა ჩართვაც ამ პროცესში, რათა გამერკვია, როგორია მათთვის სკოლის გარეთა გარემო, როგორ და რამდენად იყენებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას ოჯახში, ცდილობენ თუ არა შეუსწორონ ოჯახის წევრებს შეცდომით დამახინჯებულად გადმოცემული სათქმელი. ამისათვის მათ დავუგზავნე კითხვარების (იხ. დანართი მშობელთა გამოკითხვის.) და მიღებული შედეგი წარმოდგენილია დიაგრამით.



გამოკითხვამ გვიჩვენა,რომ ბავშვი მშობლების გარემოში ,მათ მაგალითზე იზრდება, ამიტომაა საჭირო მშობელთა აქტიური ჩართვა მართლმეტყველების სწავლების

პროცესში, მათი რეაგირებაც მასწავლებელთან ერთად ბარბარიზმებისა და დიალექტიზმების წინააღმდეგ. მოზარდის მეტყველებას აუცილებლად სჭირდება მეთვალყურე არა მარტო ქართულის გაკვეთილზე პედაგოგისგან, ასევე ოჯახშიც მშობლებისაგან . სამეტყველო ენა სამწერლობო და სახელმწიფო ენაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ მშობლების წილი მოსწვლეთა მართლმეტყველების დახვეწაში უდიდესია.თუმცა მშობელთა დაახლოებით მცირე ნაწილი თვლის, რომ აუცილებელი პირობა გამართული სალიტერატურო ენით მეტყველებისათის არის ოჯახური გარემო, გამოირკვა, რომ მათ ოჯახში საუბრობენ დიალექტური ფორმებით, ნაკლებად ან საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას მართლწარმოთქმას ,ჩანს, რომ მშობლები ჩართული არიან სწალა-სწავლების პროცესში და გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ ამ მხრივ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

კოლეგებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა, თუ რა ტიპის შეცდომებს ხვდებიან ყველაზე ხშირად. რა პრობლემებს აწყდებიან ისინი მართლწერისა და მართლმეტყველების დასამკვიდრებლად. თუ რა მეთოდებს იყენებენ და რა სახის დავალებას აძლევენ და.რა სტრატეგიებს იყენებთ შეცდომების აღმოსაფხვრელად. ინტერვიუმ ნათელყო, რომ მოსწავლეების უმეტესობა უშვებს მეტყველებისას მორფოლოგიურ, სტილისტურ და შემდეგ სინტაქსურ შეცდომებს, წერის დროს ამას ემატება ორთოგრაფიული და პუნქტუაციურიშეცდომები.მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები ინტენსიურად მუშაობენ გამრათულ მეტყველებაზე , ეს ცოდნა არსებობს თავისთვის და ბავშვები მას მეტყველებისას არ იყენებენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მათი რჩევები თუ როგორ ინარჩუნებენ დაინტერესებას ცოდნის მეტყველებაში სრულად გადმოსატანად.წერის დროს ერთ-ერთ კოლეგა არჩევს ტექსტს ,რომელიც საჭიროებს რედაქტირებას, ეფექტურად მიაჩნია წერითი დავალებების შესრულება.მორემ აღნიშნა ლიტერატურულ ნაწარმოებზე მუშაობის დროს ენობრივი ფორმებზე დასაკვირვებლად იყენებს მარკირებას,რათ თვალნათლივ დაინახონ რა ცვლილებები გაიარა ენამ.

ნიშანდობლივია,რომ ერთ-ერთი კოლეგა სტილისტურ ხარვეზებთან საბრძოლველად მოსწავლეებს ურჩევს სატელევიზიო გადაცემების მოსმენასა და შეცდომების გაანალიზებას კლასში.ასევე ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობისას ნაწარმოების

დასრულებისას აანალიზებენ გრამატიკულ ფორმებს,რატომ იყო მწერლის მეტყველებაში ამ ფორმით განოყენებული.მაგალითად ,ილიას თხზულებებში გვხვდება ზმნა - სჩანს,ზმნიზედა-ალბად.აანალიზებენ თანამედროვე გრამატიკული ნორმებით რატომ არის მართებული ჩანს.ალბათ...დავით კლდიაშვილის, ვაჟას,ყაზბეგის თხზულებების შესწავლისას დიალექტურ მეტყველებაზე ამახვილევენ ყურადღებას და პარალელურად იმ ფორმებზე საუბრობენ ,რაც თანამედოვე მეტყველებაში ხვდებათ

დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზუალურ ეფექტს, რესურსების სქემების , თვალსაჩინოებების გამოყენებას ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.საინტერესო აღმოჩნდა კოლეგების მეთოდები, აქტივობები და შექმნილი რესურსები.(ცნების რუკა)

აღნიშნულ საკითხზე სხვა საგნის მასწავლებლებთან საუბრისას უპირველეს კითხვად მივიჩნიეთ გაგვერკვია თუ რამდენად გამართულად აყალიბებს აზრს მოსწავლე ამა თ უ იმ საგანში, შეიმჩნევა თუ არა მათ საგანში მოსწავლეების მხრიდან მეტყველებაში დიალექტური ფორმების ან ჟარგონის გამოყენება.თუ მიუქცევიათ ყურადღება სახელმძღვანელოში ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომებისთვის და თვითონ თუ უსწორებენ მოსწავლეს ენობრივ შეცდომებს.რა თქმა უნდა, სხვა საგნის მასწავლებლებიც რეაგირებენ ენობრივ შეცდომებზე.მართალია, კლასში გამოკრული გვაქვს პლაკატები სწორი და არასწორი ფორმებით,რაც არ არის საკმარისი.საგულისხმოა ისიც ,რომ მათაც მიუღიათ შესწორება მოსწავლისაგან,როცა სახელმძღვანელოში ან მეტყველებისას დაშვებული იყო რაიმე გრამატიკული ფორმებით,მაგრამ მათი რჩევით უმჯობესი იქნება დერეფნებშიც იყოს მსგავსი საინფორმაციო-სასწავლო ხასიათის ფორმატები,რაც გააუმჯობესებს სკოლაში მოსწავლეთა მეტყველებისა და მართლწერის კულტურას.

ექსპერთან გვქონდა ინტერვიუსათვის მომზადებული კითხვები. ჩვენთვის საინტერესო იქნებოდა მისი რჩევები თავად რა სტრატეგიებს იყენებს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად,რასაც გამოვიყენებდით მუშაობაში,მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კონტაქტი არ შედგა .

კვლევის პერიოდში ვაკვირდებოდი მოსწავლეებს გაკვეთილზე. ვატარებდი სხვადასხვა აქტივობას ვაძლევდი დავალებებს შესასრულებლად. ასევე ვაკვრდებოდი იმ

აქტივობების მსვლელობას, რომლებიც ხელს უწყობდა შესწავლილი გრამატიკული ფორმების განმტკიცებას და შემდეგ მის პრაქტიკულად გამოყენებას. აღმოჩნდა, რომ კლასის უმეტესი ნაწილისთვის სავარჯიშოებზე მუშაობა უფრო საინტერესოა. თუმცა შევნიშნე ისიც ,რომ ,როდესაც მოსწავლეს ტექსტის შინაარსს გადმოსცემს ზოგჯერ უშვებს იმ ენობრივ შეცდომას, რომელიც უკვე ნასწავლი აქვთ. ეს შეცდომები უფრო კარგად ჩანს წერითი სამუშაოს შესრულების დროს. მასწავლებლისაგან უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი შეცდომით წარმოთქმული ფორმა. უნდა აისახოს ეს შეფასებაზეც .უმჯობესი იქნება განმავითარებელი შეფასება,რაც დაეხმარებათ შეცდომათა გაანალიზებაში.მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს როგორ შეასრულოს დავალება, რა მოთხოვნებს უნდა უპასუხოს,რათ შეძლოს არა მარტო ცალკეული შეცდომის გასწორება,არამედ ეს ჩამოუყალიბდეს ჩვევად მეტველებისა და წერის დროს. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- მასწავლებლები იცნობენ მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობესების ეფექტურ სტრატეგიებს, მაგრამ იშვიათად იყენებენ გაკვეთილზე, რადგან უმეტეს დროს ანდომებენ ტექსტზე მუშაობას, შინაარსის გადმოცემას ან პერიფრაზს.
- მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში მართლმეტყველებისა და მართლწერის გაუმჯობესების ზრუნავენ გაკვეთილზე და არა აძლევენ საშინაო დავალებას.
- აღწერითი დაკვირვების დროს გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს უჭირთ მართებული ფორმების გამოყენება მეტყველებისა და წერის დროს.
- ფოკუსირებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პრობლემას ქმნის გარემო, პრესა, ტელევიზია საინფორმაციო საშუალებები.
- დაკვირვებიდან ჩანს, რომ მართლწერის ფორმებს მოსწავლეები ადვილად ეუფლებიან და მიზნობრივ (ცოდნის განმტკიცებაზე ორიენტირებულ) სავარჯიშოებში ნაკლებ შეცდომებსაც უშვებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას რომ მათ უკვე აქვთ სათანადო ჩვევა. მართლწერა მაშინ იცის მოსწავლემ, „როცა ამ წესების საგანგებო მოგონების გარეშე შეუძლია შეუცდომლად წეროს. ე.ი. გამომუშავებული აქვს მართლწერის ავტომატიზებული ჩვევები. მართლწერის ჩვევა–გამომუშავება წესის ახსნით.

5.2. ძირითადი მიგნებები: კვლევის პერიოდში ვაკვირდებოდი მოსწავლეებს გაკვეთილზე. ვატარებდი სხვადასხვა აქტივობას, ვაძლევდი განსხვავებულ დავალებებს შესასრულებლად. ასევე ვაკვრდებოდი იმ აქტივობების მსვლელობას, რომლებიც ხელს უწყობდა შესწავლილი მასალის განმტკიცებასა და შემდეგ მის პრაქტიკულად გამოყენებას. აღმოჩნდა ,რომ კლასის უმეტესი ნაწილისთვის მუშაობა უფრო საინტერესოა,როცა გამოყენებულია ვიზუალური მასალა და შეცდომებიც უკეთ ამახსოვრდებათ.ზედა საფეხურის მოსწავლეები კარგად აცნობიერებენ, რატომ უნდა იმეტყველონ გამართულად , ისინი ხშირად უსწორებენ ერთმანეთს არასწორად წარმოთქმულ ფრაზებს. მაგრამ დაბალი კლასის მოსწავლე ნაკლებად აცნობიერებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას, ვერ იაზრებენ , თუ როგორ უნდა გამოიყენონ მეტყველებაში და როგორ უნდა გამოადგეთ ქართული ენის გაკვეთილზე შეძენილი ცოდნა სხვა გაკვეთილზე. მოსწავლეთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ იმიტომ არ იყენებენს და ვერ ამკვიდრებს სასაუბრო მეტყველებაში, რომ უჭირთ დამახსოვრება, ზოგიერთი კი იმას ასახელებს მიზეზად, რომ ასე არ მეტყველებენ მათ ირგვლივ მყოფი ადამიანები.როცა უსმენენ მსგავს მეტყველებას, თუნდაც ტელევიზიის ეკრანიდან მოზარდებისთვის ჟურნალისტთა ენა მისაღებია.რატომღაც ამ ბოლო დროს დამკვიდრდა შეკვეცილი ფორმებით, უცხოური ენიდან შემოტანილი გამონათქვამებით საუბარი და ეს მისაღებ ფორმადაა მიჩნეული.როცა ისმენს,რომ საქმის კურსში ვარ,დღის მეორე ნახევარში,სახეზეა, განცხადება გააკეთას...უვითარდებათ მიბაძვით მსგავსი ტიპის მეტყველება და ყალიბდება საზოგადოების სასაუბრო ენის ნორმად.ზოგი კი მიბაძვით კიბერენის ფორმებს იყენებს და მიაჩნია,რომ თანამედროვე მეტყველების ნორმა ესაა.მაშინ,როცა დღეს ენა დგას ტექნოლოგიური გამოწვევის წინაშე,როცა ფეხს იკიდებს ინგლისურენოვანი სლენგი მეტი მუშაობაა საჭირო,რათა არ გაბატონდეს უმართებულო გამონათქვამები,რაც საუკუნეების წინ მოხდა.ენა დაიტვირთა აღმოსავლური გამოთქმებით და წაიშალა ქართულის კვალი.(სალამი,სევდა,ვახშამი,ფანჯარა,ოთხი აივანი...)ამიტომაა საჭირო გონივრულად დავგეგმოთ ისეთი ინტერვენციები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება გამართულად წერასა და მეტყველებაში.

5.3. ინტერვენციები

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები: ორთოგრაფიის საკითხებზე მუშაობისას იკვეთება ერთი თავისებურება, კერძოდ: მოსწავლეები სწავლობენ თეორიულ მასალას, აკეთებენ ცალკეულ მაგალითებს კონკრეტულ წესთან დაკავშირებით, მაგრამ პრობლემად რჩება ტექსტებში მათი გასწორება, ამასთანავე დაუხვეწავი არაკალკირებული ფორმებით საუბარი.

- აღნიშნულის გასაუმჯობესებლად გადავწყვიტე თავად მოსწავლეები დამეინტერესებინა შეცდომების მოძიებით, რაც ასე ხშირად გვხვდება გარემომცველ სამყაროში და ამ მიზნით შევქმნი სოციალურ ქსელში ჯგუფს ,,ენის მცველები". თავად იაქტიურობდნენ იპოვნიან კიბერენისთვის შესატყვის ქართულ ფორმებს.
- ჩავატარებ აღნიშნულ საკითხზე გაკვეთილს ,,გლობალიზაციის გავლენა ენაზე", სადაც წარმოდგენილი იქნება საინტერესო მასალები მოსწავლეთ თნამომაწილეობით.
- ასევე გამოვიყენებ სატელევიზიო გადაცემები,ამოვკრიბებ ვიდეომასალა, სადაც ნათლად ჩანს ის სტილისტური შეცდომები და თანამედროვე ინგლისური ბარბარიზმები,რომელიც თავს იჩენს თნამედროვე საზოგადოების მეტყველებაში.
- ვიმუშავებთ პრესის ენაზე,დავაკვირდებით პრაქტიკულ მაგალითებს,რაც დამახასიათბელია ჟურნალისტთა ენისათვის.
- ასევე შევუერთდებით აქცია- მოწოდებას,რომელიც მიზნად ისახავს ენის დაცვას ბარბარიზმებისა და კალკირებული გამონათქვამებისაგან.
- საშინაო და საკლასო დავალებებს ისე დაგგეგმავ,რომ მათი შესრულება ყველამ შეძლოს დამოუკიდებლად. განვახორციელებ შესაბამის უკუკავშირს ,რათა ბმართებულად შეძლონ ენობრივ ფორმათა გამოყენება.
- შემაჯამებელი სამუშაოს შეცდომათა ანალიზი გავაკეთებ,რაც ნათელყოფს რა ტიპის შეცდომებს უშვებენ ხშირად მოსწავლეები და რომელი კუთხითა მუშაობა გასაუმჯობესებელი.
- ყუთი კლასში,რომელშიც მოსწავლეები ჩაუშვებენ ყოველდღიურად ნეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს და ვიმსჯელებთ თვეში ერთხელ ამ შეცდომათ გამომწვევ მიზეზებზე.

- ანკეტურ გამოკითვას ჩავატარებ სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპზე კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით.

თავი VI. ინტერვენციების შეფასება.

6.1.ინტერვენციის შეფასების მეთოდები

ინტერვენციები ვიკვლიე იმავე მეთოდებით, რა მეთოდებითაც ჩავატარე თავად კვლევა. მეტი სანდოობისათვის გამოვიყენე როგორც თვისობრივი ასევე რაოდენობრივი მეთოდები.აღნიშნული მეთოდებმა მაჩვენა არსებული მდგომარეობა,რომლის მიხედვითაც დავგეგმე ინტერვენციები,რათა მიმეღწიო სასურველ შედეგისთვის.

გამოყენებული ინტერვეციების შედეგად გაიზარდა დამახსოვრება, გამოსწორდა მეტყველების დროს დაშვებული შეცდომები, ამაღლდა მოტივაცია, დაინტერესდა მშობელი საკვლევი საკითხის არსით, აუმაღლდა მოსწავლეებს თვითშეფასება.როცა მოსწავლე თავად აქტიურადაა ჩართული შეცდომების მოძიებასა და გასწორებაში შედეგი თვალსაჩინოა.ისინი უკეთ მეტყველებენ და წერენ.ერთმანეთს უსწორებენ შეცდომებს, ხვეწენ თვიანთ მეტყველებას .თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების ანალიზი დამეხმარა მოსწავლეთა საჭიროების დადგენაში,მათი ძლიერი და სუსტი მხარის წარმოჩენაში,ენობრივ შეცდომათა გაანალიზებაში, წერისა და მეტყველების ხარვეზების მნიშვნელოვნად დაძლევაში.

6.2. ინტერვენციების შეფასება

- შევქმენით სოციალურ ქსელში ჯგუფი ,,ენის მცველები“. თავად აქტიურობდნენ, ეძიებდნენ და პოულობდნენ კიბერენისთვის შესატყვის ქართულ ფორმებს. კომპიუტერის თაობის ენა სავსეა ინტერნეტ გამოთქმებით, მათი გაანალიზება მნიშვნელოვანია გამართული წერისა თუ მეტყველებისათვის, რადგან მიეჩვივნენ ინტერნეტსივრცეში ამ ენით წერას.
- ჩავატარე აღნიშნულ საკითხზე გაკვეთილი ,,გლობალიზაციის გავლენა ენაზე“, სადაც პრეზენტატორმა საინტერესოდ წარმოადგინა მასალა, რომელსაც ჯგუფთან ერთად აგროვებდა და ეძებდა კიბერენის შესაბამის ქართულ ფორმებს.

- ასევე გამოვიყენე სატელევიზიო გადაცემები, ამოვკრიბე ვიდეომასალა, სადაც ნათლად ჩანდა ის სტილისტური შეცდომები და თანამედროვე ინგლისური ბარბარიზმები,რომელიც თავს იჩენს მეტყველებაში, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელი შეცდომებისა.
- ვიმუშავეთ პრესის ენაზე, პრაქტიკულ მაგალითებზე დაკვირვებამ შედეგი გამოიღო,თავად დაამზადეს პლაკატები და გააკრეს კლასში თვალსაჩინოდ,რომ ყოველთვის მიაქციონ ყურადღება შეცდომებს დაიმახსოვრონ ისინი.
- ასევე შევუერთდით აქცია - მოწოდებას,რომელიც მიზნად ისახავს ენის დაცვას ბარბარიზმებისა და კალკირებული გამონათქვამებისაგან. ხელზე დაიწერეს მარკერებით მოსწავლეებმა უმართებულო და მართებული ფორმები. აჩვენებდნენ ერთმანეთს, სკოლაში თანატოლებს და დარწმუნებული ვარ ის, რაც მათი უშუალო ჩართულობით გაკეთდა, არ დაავიწყდებათ და სურვილი გაუჩნდებათ ახალი ინიციატივებში ჩაერთონ ენის დასაცავად.
- საშინაო და საკლასო დავალებები ისე დაგგეგმე, რომ მათ შესრულებას ყველა შეძლებდა დამოუკიდებლად. განვახორციელე შესაბამისი უკუკავშირი, რათა მართებულად შეძლონ ენობრივ ფორმათ გამოყენება.
- შემაჯამებელი სამუშაოს შეცდომათა ანალიზი გავაკეთე, რამაც ნათელი გახადა რა ტიპის შეცდომებს უშვებენ ხშირად მოსწავლეები და რომელი კუთხითა მუშაობა გასაუმჯობესებელი.
- ანკეტური გამოკითვის ჩატარება სასწავლო წლის დამამთვრებელ ეტაპზე კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით.

დაგეგმილმა ინტერვეციებმა კარგი შედეგი გამოიღო,უკეთ იმახსოვრებდნენ შეცდომებს, გამოასწორეს მეტყველება , ამაღლდა მოტივაცია, , აუმაღლდათ თვითშეფასება.როცა მოსწავლე თავადაა ჩართული შეცდომების მოძიებასა და გასწორებაში შედეგი თვალსაჩინოა.ისინი უკეთ მეტყველებენ და წერენ.ერთმანეთს უსწორებენ შეცდომებს, ხვეწენ თვიანთ მეტველებას .მხოლოდ თეორიული ცოდნის პრაქტიკული განმამტკიცებელი სავარჯიშოების შესრულება არ იძლეოდა ისეთ ეფექტს,როგორც მათი

ჩართულობა შეცდომათა ძიების პროცესში.თავად დარწმუნდნენ კიბერ,სატელევიზიო თუ პრესის ენაზე მუშაობისას რა საფრთის წინაშე დგას ენა და რა არის საჭირო გამართულად წერისა და მეტყველებისათვის.

ყურადღებას ვამახვილებდი დავალების მიზანზე,მოსწავლეთა ცოდნის ძლიერ მხარეეზე და ვაძლევდი რჩევებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად..მუშაობას მეტი სარგებელი აქვს,თუკი უკუკავშირისას ყურადღება გადატანილი იქნება არა ქულაზე,არამედ მოტივაციის ამაღლებაზე,ზოგადად ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებაზე.მოსწავლეთა წარმატების აღსანიშნავად რეკომენდებულია სწორი პასუხების მითითება, გასაუმჯობესებელი მხარეების ჩამოთვლა, პრობლემების ჩანიშვნა,სტრატეგიების ეფექტური გამოყენება.

  თავდაპირველად გავმიჯნე გრამატიკული შეცდომები ორი გზით.პირდაპირი: თეორიული მასალის პრაქტიკული მაგალითებით განმტკიცება და თანმდევი,რაც უკავშირდება გარემოს-მასობრივი კომუმიკაციის საშუალებებს.აღმოჩნდა ,რომ მეტ შეცდომას ითვისებენ ტელევიზიიდან,ინტერნეტიდან,ჟურნალ-გაზეთებიდან. არაერთი ვიდეო თუ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფის მოძიებული მასალა,ამ თემაზე ჩატარებული გაკვეთილი, თავად მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი საინტერესო პრეზენტაცია,წერითი სამუშაოები ენის საკითხებზე,შემაჯამებელი დავალებების შეცდომათა ინდენტიფიცირება დაეხმარათ ენობრივ შეცდომათა გაანალიზებაში, წერისა და მეტყველების ხარვეზების მნიშვნელოვნად დაძლევაში.

განხორციელებული ინტერვენციების შედეგები დიაგრამაზეა ასახული



საკლასო სამუშაოების ჩატარებამ და შესააბამისმა უკუკავშირმა შედეგი გამოიღო და მოსწავლეთა შედეგებიგაუმჯობესა და,რა თქმა უნდა, არ აღმოიფხვრა ნაკლოვანებები , მაგრამ საგრძნობლად გაუმჯობესდა.შეცდომების განხილვამ, მართებულ ფორმებზე ყურადღების გამახვილებამ, ხშირად დაშვებული შეცდომების თვალსაჩინოდ პლაკატებზე გამოკვრამ, მოსწავლეთა აქტიურმა ჩართულობამ ორთოგრაფიის საკითხის გაუმჯობესებაში, პრაქტიკული განმამტკიცებლების გამოყენებამ ინტერესი და დამოკიდებულება შეცვალა ენის ნორმების დაცვის მიმართ.

საკლასო და საშინაო დავალებების ჩატარების შემდეგ დაიგეგმა შემაჯამებელი სამუშაოები,რომლის შედეგებიც წარმოდგენილია დიაგრამით. შემაჯამებელი სამუშოების დანიშნულებაა არა მხოლოდ ლიტერატურული მხარის შემოწმება თუ როგორ გაიაზრეს ტექსტი და გადმოცეს აზრი,არამედ გარკვევა იმისა ,როგორ დაიცვეს გრამატიკული ნორმები.როგორ ახერხებენ ცოდნის ტრანსფერს არა მხოლოდ კონკრეტული გრამატიკული დავალების შესაასრულებლად, არამედ ზოგადად მხატვრული ტიპის ტექსტის, (ესეს,თზულების) შექმნისას.მონაცემების მიხდვით თუ ვიმსჯელებთ , მეოთხე შემაჯამებელში დადეს კარგი შედეგი,რაც ალბათ, იმით იყო განპირობებული,რომ მათ მიეცათ შესარულებლად მხოლოდ გრამატიკული საკითხები სწორი პასუხების შემოხაზვით. დანარჩენი შემაჯამებელი ითხოვდა ღია კითხვებზე

პასუხის გაცემას,თხზულების დაწერას, სადაც მეტად იყო დაშვებული ენობრივი შეცდომები.მონაცემები დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



თავი VII.რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები

7.1. რეკომენდაციები

რებამოსწავლეთა მართლმეტყველებისა და მართლწერის გასაუმჯობესებლად საჭიროა:

- სქემებისა და თვალსაჩინოების გამოყენება ინტერვენციების განხორციელების მიზნით
- საშინაო დავალებების შემოწმება ეფექტური კომენტარებითა და უკუკავშირით
- დავალებების მიცემისას თავისუფალი არჩევანის შეთავაზება
- საჯარო გამოსვლისათვის მოკლე ტექსტის შექმნის შეთავაზება, მათთვის საინტერესო თემაზე
- ყუთის მეშვეობით თანამშრომლობითი და აღმოცენითი უნარების განვითარება.
- შესწავლილი მართებული ფორმების ხშირად გამოყენება
- კვირაში ერთ დღეს დაეთმოს კიბერ და პრესის ენის ანალიზს.

- მუდმივად ჩატარდეს შუალედური ანალიზი,რათა შესაბამისად შეიცვალოს დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ.
- გაკვეთილ გავამრავალფეროვნოთ ლიტერატურული ნაწარმოებიდან ამოკრებილი ნაწყვეტებით და ვიმუშავოთ მწერლის ენაზე (ბარბარიზმები,დიალექტიზმები..)
- ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გაანალიზდეს ამ კუთხით მიღწეული შედეგები.

7.2. კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის პროცესში, გარდა გამოყენებული მეთოდებისა, დაგეგმილი გვქონდა ექსპერტთან ინტერვიუ, იმისთვის, რომ გვცოდნოდა, რა თანამედროვე ხედვები და სტრატეგიები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს მეტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მოგვცემდა, მაგრამ ,სამწუხაროდ, ჩვენი მრავალმხრივი მცდელობის მიუხედავად ეს საუბარი ვერ შედგა.

მოცემული კვლევის ნაკლად მიგვაჩნია დროის სიმცირე.საკვლევი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა მთელ წელზე გაგვეთვალა სამუშაო.ასევე ვთვლით,რომ მეტი კვლევის მეთოდის გამოყენება მრავალფეროვანს გახდიდა ჩვენს ნამუშევარს.

თავიVIII. დასკვნა

გამოვიკვლიე პრობლემა მოსწავლეთა მიერ წერასა და ზეპირმეტყველებაში დაშვებული შეცდომების შესახებ, რათა დამედგინა, რა იყო აღნიშნული პრობლემის მიზეზი. დავისახე მიზანი, დავგეგმეთ ინტერვენციები: მოვამზადე სქემები, თვალსჩინოებები,(ვიდეომასალა,სქემები,პრესის ფურცლებიდან ამოკრებული მასალები) ვამოწმებდი საშინაო დავალებებს კომენტარებითა და ვაძლევდი ეფექტურ უკუკავშირს. ვთავაზობდი პატარა ზომის ტექსტის შექმნას და პრეზენტაციას ზეპირი გამოსვლისათვის. ვაძლევდი ინდივიდუალურ წერით დავალებებს. კლასის ყუთის

შექმნითა და ყოველი თვის ბოლოს დაგროვილი ცოდნით კიდევ უფრო სახალისო გახდა მუშაობა და კვლევის პროცესი.ასევე ინტერესით ასრულებდნენ იმ დავალებებს,რომლებსაც სჭირდებოდა თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება. აღნიშნული ინტერვენციების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეებში წერისა და მეტყველების კულტურა.

თემა მოითხოვს მუდმივად ყურადღების გამახვილებას საკვლევ საკითხზე,რადგან ეს არის აქტუალური პრობლემა. მრავალეროვანი მეთოდები, კოლეგების გამოცდილებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკული მიზნით,შედეგებზე დაკვირვება დაგვეხმარა შედეგების გაუმჯობესებაში.ასევე მოსწავლეთა გამოკითხვამ ცხადყო,რომ,როცა მავალფეროვანია მეთოდები ,განსაკუთრებით კი ტექნოლოგიების ჩართვით, უფრო ხალისით ასრულებენ დავალებას,რაც დიაგრამაზეა წარმოდგენილი.ასევე,როცა ეფექტურია უკუკავშირი ეს მათ ეხმარებათ მომავალში სამუშაოს უკეთ შესრულებაში,რათა გაასწორონ არა მხოლოდ საკუთრი წერა და მეტყველება, არამედ სხვასაც დაეხმარონ ამ კუთხით.



აღნიშნულ კვლევაზე მუშობამ გვიჩვენა საჭიროება რა და როგორ უნდა გავაკეთო მომავალში,მუდმივი მონიტორინგი დამეხმარება სწორად დავგეგმო სტრატეგიები

მართლწერისა და მართლმეტყველების გასაუმჯობებსებლად.ყოველი საწავლო წლის ბოლოს გავაანალიზებ ნაკლოვანებებს,რათა ეფექტური გავხადო მუშაობა.

ბიბლოგრაფია:

1.,,მასწავლებელთ საქმიანობის დაწყების,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი“მე-2 ნაწილი

2ს. ლობჟანიძე,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევა“მაისი,2012წ.

3.თ.ჩხეიძის ბლოგი

4.აკ.შანიძე,,ქართული ენის მორფოლოგია“თბილისი,უნივერსიტეტი,1953წ.

5.გ.ნოზაძე,,ეფექტური უკუკავშირი“-ინტერნეტგაზეთი,,მასწავლებელი“2014 წ.21მარტი

5.ა.ჯანელიძე,,მასწავლებლის წიგნი“

6.ა.არაბული,,ქართული მეტყველების კულტურა“თბ.2004წ.

7.ვ.თოფურის,,ქართული ენა და მართლწერა-ძირითადი საკითხები“თბ.1965წ.

8.ლ.კვაჭაძე,,ქართული ენა“1981წ.

9.მაღლაკელიძე,,ქართული ენის სწავლების მეთოდიკა“თბ.2004წ.

10.თალაკვაძე მ.,,ქართული ენის სწავლების მეთოდიკა“თბ.1975.

11.ესგ-საგნობრივი სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

დანართი

ტექსტები რედაქტირებისათვის

N1ტექსტში დაშვებულია 10 მორფოლოგიური,ორთოგრაფიული,სინტაქსური, სტილისტური და პუნქტუაციური შეცდომა.

მოხუცი გლეხი ყავარჯენზე დაყრდნობილი კამათს უსმენდა.დასმულ საკითხთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა.კამათის შედეგად მივიდნენ რათქმა უნდა საბოლოო გადაწყვეტილებამდე.საბედნიეროთ,ყველაფერი კარგათ დამთვრდა.გლეხმა შვებით ამოისუნთქა,რაც გამოწვეული იყო დავის მშვიდობიანად დასრულებით.ბედიდან დაჩგრული კაცის დაბრიყვებას ამიერიდან ვერავინ შეძლებდა.

N2ტექსტში დაშვებულია 10 მორფოლოგიური,ორთოგრაფიული,სინტაქსური, სტილისტური და პუნქტუაციური შეცდომა.

ცისფერ გალერეაში მოხდა ფიროსმანის ნახატების გამოფენა.უამრავი დამთვალიერებლები მივიდნენ,რადგან სიამოვნება მიეღოთ დიდი მხატვარის სურათების ხილვით.დღესაც ანცვიფრებს ეს ქმნილებები არამარტო ქართველს არამედ უცხოელს.ის,რომ ნიკალა გამორჩეული ხელოვანია ყველა აღიარებს.ვერ ვუარყოფთ იმ აზრს,რომ საზოგადოებამ სიცოცხლეში ვერ დააფასა ხელოვანი.

N3ტექსტში დაშვებულია 10 მორფოლოგიური,ორთოგრაფიული,სინტაქსური, სტილისტური და პუნქტუაციური შეცდომა.

საქართველოს მთვარმა მამია გურიელიმ გადასწყვიტა ხელთ ეგდო ლეჩხუმ-სვანეთის ნაყოფიერი მიწები,რითაც ფეხ ქვეშ თელავდა თვისუფლების მოყვარე ხალხის ნებას. მე- XIX საუკუნის 30-ანი წლები ავბედითი აღმოჩნდა გურიელისათვის.აღმართული მახვილი ბუმერანგივით დაუბრუნდა.სვანეთში და ლეჩხუმში აირჩიეს წინამძღოლები, რომელიც გამორჩეულები იყვნენ თავისი ვაჟკაცობით. ქუდზე კაცი გამოვიდა კუთხის ღირსების დასაცავად.გაერთნებულთ გამარჯვების რწმენა ქონდათ,რათა ემსახურებოდნენ წმინდა საქმეს.

გურიელს მისი ლაშქარი ყველაზე საუკეთესო ეგონა და მთებში ავიდა დამპყრობლური მიზნების დასაკმაყოფილებლად.

კითხვარი მშობლებისათვის:

1. იყენებს ბავშვი სკოლაში მიღებულ ცოდნას? კი, იშვიათად ,არა

2.აკეთებს რეაგირებას სატელევიზიო გადაცემებში დაშვებულ შეცდომებზე? კი, არა , იშვიათად

3.მოქმედებს ბავშვის ლექსიკაზე ოჯახური გარემო?

4.იყენებთ მეტყველებისას დიალექტურ ფორმებს?

5.რამდენად ცდილობს ოჯახის ყველა წევრი დაიცვას მართლმეტყველების წესები?

კითხვარი მოსწავლეებისათვის:

1.რა ტიპის შეცდომებს ხვდებით ხშირად მართმეტყველებასა და მართლწერაში?

2.რამდენად საჭიროა გამართულად წერა და მეტყველება?

3.რა სირთულეებს აწყდებით ახალი ცოდნის შეძენისას?

4. როგორ გამოიყენებთ პრაქტიკულად შეძენილ ცოდნას?

ინტერვიუ კოლეგებთან

1.

ექსპერტთან-ინტერვიუ

1.რა სიახლეებია მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხთან დაკავშირებით?

2.ახალი გრიფირების წესში თუ არის ჩასმული ტექსტების ენობრივ შესაბამისობაში მოყვანა?

3.ამ საკითხთან დაკავშირებით თუ იგეგმება სხვა საგნის მასწავლებელთა ტრენინგები?

4.რამდენად მართებულად მიგაჩნიათ STEM -ის პროექტში მხოლოდ გარკვეული საგანის მასწავლებელთა მონაწილეობა და თუ იგეგმება სხვა საგნის მასწავლებელთა ჩართვა ამ პროცესში.

კითხვარი მოსწავლეთა თვითშეფასებისათვის:

1.სხვადასხვა აქტივობაში ჩართვისას მაქსიმალურად გამოავლინა თავისი

შესაძლებლობა(კი,არა)

2.კარგად იმუშავა სხვადასხვა აქტივობებზე(კი,არა)

3.ვერ გამოავლინა თვისი შესაძლებლობა მაქსიმალურად(კი,არა)

4.არ ჩაერთო(კი,არა)

სქემები



შეასწორეთ წარმოდგენილი შეცდომები



გაასწორეთ და იმსჯელეთ მოცემულ გრამატიკულ შეცდომებზე

რეფლექსია

2018 წელს, 12ივნისს, გაიმართა სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის პედაგოგთა შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო II სემესტრის განმავლობაში ჩემ მიერ ჩატარებული საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გაზიარება.

კვლევის თემა გახლდათ როგორ გავაუმჯობესოთ მართლწერა და მართლმეტყველება საბაზო საფეხურის მოსწავლეებში.

აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა სხვადასხვა საგნის მასწავლებელი . კვლევის ყველა პუნქტი, მიზანი, მიგნება, ძირითადი კითხვები, მეთოდები, ინტერვენციები, ინტერვენციების შეფასება, დასკვნა და გამოკითხვის შედეგები წარვადგინე PowerPoint-ის საპრეზენტაციო ფორმატში. სხდომის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ კითხვები, გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებები და დაეზუსტებინათ მათთვის საინტერესო საკითხები. ასევე შემომთავაზეს თავიანთი მოსაზრება იმ აქტივობებზე, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა წარმოდგენილი საკითხის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. კვლევა საინტერესო გამოდგა სხვა საგნის მასწავლებლებისათვისაც, რადგან მართლწერა და მართლმეტყველება ყველა საგნის გაკვეთილზე აქტუალურია.საბოლოოდ უკუკავშირმა რამდენიმე საინტერესო მიგნება დამანახა: ქალბატონმა ლელა გაბისონიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა მოსწავლეთა გამართული მეტყველების ხელშესაწყობად „ენის მცველებმა“ შექმნან ჯგუფი, რომლებიც მთელ სკოლაში გააკრავენ პლაკატებს, გამართავენ სხვადასხვა სახის სახალისო კონკურსს და იზრუნებენ სხვა ჯგუფებში ენის საკითხების გაუმჯობესებაზე.მისი რჩევით,კარგი იქნებოდა დაგეგმილი ღონისძიებები სასწავლო პროცესისი თანმდევი მოვლენა გახდეს.

მეტად ყურადსაღები იყო ქალბატონ ნონა ჩუბინიძის(შეფასების ჯგუფის თავმჯდომარე , დირექტორი) რეკომენდაციები: მოვასმენინო ვიდეომოთხრობები და შევაფასო შედეგი, რადგან მოსწავლეებს მოსმენა ურჩევნიათ კითხვას. ასევე, ნ. ჩუბინიძის აზრით, განათლების ექსპერტების ჩართვა ან ფსიქოლოგების რეკომენდაცია გაამრავალფეროვნებდა კვლევას.მას მიაჩნია,რომ კვლევის შედეგების

მდგარადობისათვის აუცილებელია ინტერვენციების მუდმივი განხორციელება და ყველა მასწავლებლის ერთობლივი მუშაობა.

ქალბატონმა ნინო ჯიბლაძემ აღნიშნა პრობლემის აქტუალობა და გამოთქვა სურვილი დავგეგმოთ ერთობლივი გაკვეთილი.

ქალბატონ თამარ გაბისონიას რჩევაა, მოსწავლეები დავასწროთ სპექტაკლებს, რათა უფრო ნათელი გახდეს გამართული მეტყველების საჭიროება, თავად მოაწყონ წაკითხული ნაწარმოების ინსცენირება.

ქალბატონი მარინე ანდრიაძის აზრით, საჭიროა მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურება, რათა მრავლად დაიგეგმოს გაკვეთილი, რომელთა მიზანი მოსწავლეთა მიერ სწორად წერა და მეტყველებაა.

მათემატიკის მასწავლებლის იზო ჯაბიევას აზრით, უცხოური ენიდან შემოსული და დამკვირებული სიტყვები გაუგებარია როგორც მოსწავლისათვის ,ასევე უფროსი თობისათვის და კარგი იქნება თუკი ამ კუთხით იმუშავებენ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები.

პირადად ჩემთვის, როგორც აღნიშნული კვლევის ავტორისათვის, საინტერესო იყო კოლეგების წინადადებები, რომლებსაც აუცილებლად გავითვალისწინებ ჩემს პედაგოგიურ მუშაობაში.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნინო ჭოლოკავა